# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01-110301

ქ. თბილისი 03 ნოემბერი 2016 წ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების პირველი მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"* (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის *თამარ ბაგრატიას* სახით და მეორეს მხრის *შპს „ავტომოტივი"* (შემდგომში „მიმწოებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის *ნიკოლოზ მეკრავიშვილის* სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1 (ერთი) ერთეული TOYOTA COROLA (სახ.# GN090FA – JTDBL42E30J108932) ავტომანქანის თანმდევი არასაგარანტიო ტექნიკური მომსახურება (CPV 50100000) დანართი №1-ის შესაბამისად.

1.2. გასაწევი მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს *1500,00 (ათას ხუთასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;*

2.2. შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა

2.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" 2016 წლის საკუთარი სახსრები.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.1.1 ავტოსახელოსნოში ყველა კონკრეტულ ჯერზე შესვლისას, ა/მანქანას თან უნდა ახლდეს დეფექტური აქტი; აღნიშნულ დოკუმენტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირია *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.*

3.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1-ში გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალთან და ხელშეკრულების დანართით №1-ით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის დადგენა; ყოველი გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება; მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

3.2.2 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

3.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს *სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.*

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები:

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. №1.

4.2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად **2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2 წინამდებარე პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის გაკეთებული დეფექტური აქტი.

5.3 შემსყიდველის მხრიდან გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს *სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.*

5.4 იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ მიწოდებული მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 5.3. პუნქტით განსაზღვრული პირი მიმწოდებელს წერილობით ან ზეპირი შეტყობინების საშუალებით აცნობებს აღნიშნულის შესახებ, რის შემდეგაც შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი მომსახურება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ნაკლოვანი მომსახურება.

6. ანგარიშსწორება

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწოება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. საგარანტიო პირობები

7.1 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, აღმოფხვრისათვის საჭირო გონივრულ ვადაში შემსყიდველის ზედმეტი დანახარჯების გარეშე აღმოფხვრას არასათანადო / უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამო განვითარებული წუნი/დაზიანება.

7.2 გარანტია არ ვრცელდება სწრაფცვეთად დეტალებზე, ასევე: გარეგანი, მექანიკური (მათ შორის თერმული - გადახურების) ზემოქმედების კვალის მქონე დეტალზე. ამასთან, შემსყიდველი ვალდებულია მიწოდებულ დეტალსა და მომსახურებაზე ყოველი შესაძლო განმეორებითი მომსახურება და სათადარიგო დეტალი შეიძინოს მხოლოდ მიმწოდებელთან, წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტია არ გავრცელდება.

7.3 გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ ნაწილებზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია შემდეგი პირობებით:

ა) აგრეგატები და ელექტროობაა - არანაკლებ 1 წელი;

ბ) სავალ ნაწილები - არანაკლებ 6 თვე.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

8.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.1.3. საკუთარი სახსრებით დროულად აღმოფხვრას საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ყველა ქარხნული დეფექტი.ნაკლოვანება.

8.1.4. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ ან გონივრულ ვადაში.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული მომსახურეობის დროული და სრული დაფინანსება.

8.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.

9.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 (სამი) დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4. თუ მომსახურების პროცესში აღმოჩნდება, რომ საჭიროა ისეთი მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის შესყიდვა, რომლიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულების დანართში №1-ში, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებაში ცვლილება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. გაუთვალისწინებელი მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილის ერთეულის ფასის განსაზღვრა ხდება შემსყიდველთან შეთანხმებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საბაზრო ფასს, ხოლო გაუთვალისწინებელი მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს .

11.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**12. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

14.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას:

14.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.4 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

**15. ხელშეკრულების შეწყვეტა**

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.2. ხელშეკრულების 14.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

15.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულიად შეუსრულებლობის შემთხვევაში.

15.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული საგარანტიო პირობებისა.

17. **განსაკუთრებული პირობები**

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2 ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

**18. მხარეთა რეკვიზიტები:**

| | |
|---|---|
| ,,შემსყიდველი'' | „მიმწოდებელი" |
| სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო" | შპს „ავტომოტივი" |
| მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150. | იურ. მის: ნუცუბ. III მ/რ Iკვ კორპ.11 ბინა 7 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691 | ფაქტ. მის: ქ. თბილისი, მექანიზაციის №1 |
| მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა | საიდენტიფიკაციო კოდი: 405026957 |
| მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში | საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი" |
| ბანკის კოდი: TRESGE22 | ბანკის კოდი: MIBGGE22 |
| ტელ: 243 95 45 | ანგარიშის № GE95PC0203600100019754 |
| | ელ. ფოსტა: zuramekravishvili@mail.ru |
| | ტელ: 599 32 64 64 |
| თამარ ბაგრატიონი | ნიკოლოზ მეკრავიშვილი |
| სააგენტოს უფროსი | დირექტორი |

| # | სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი | განზომ | ნაწილის ფასი | მომსახურება | სულ ჯამი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ამორტიზატორი უკანა | ცალი | 150.00 | 30.00 | 180.00 | |
| 2 | ამორტიზატორი წინა | ცალი | 170.00 | 30.00 | 200.00 | |
| 3 | ამორტიზატორის ბუფერი | ცალი | 40.00 | 30.00 | 70.00 | |
| 4 | ამორტიზატორის მტვერდამცავი | ცალი | 20.00 | 25.00 | 45.00 | |
| 5 | ამრტიზატორის საყრდენი ბალიში წინასი | ცალი | 40.00 | 15.00 | 55.00 | |
| 6 | ანტიფრიზი(კონცენტრატი) | ლიტრი | 15.00 | | 15.00 | |
| 7 | ბენზონასოსის რელე | ცალი | 30.00 | 0.00 | 30.00 | |
| 8 | გალოვკის სადები | ცალი | 120.00 | 150.00 | 270.00 | |
| 9 | გამათბობლის წყლის რადიატორი | ცალი | 160.00 | 100.00 | 260.00 | |
| 10 | დაკიდების ბერკეტი ქვედა | ცალი | 210.00 | 25.00 | 235.00 | |
| 11 | დაკიდების ბერკეტის წინა ვტულკა | ცალი | 60.00 | 20.00 | 80.00 | |
| 12 | დინამო(გენერატორი) | ცალი | 510.00 | 30.00 | 540.00 | |
| 13 | დინამო დ/ა(გენერატორი) | ცალი | | 50.00 | 50.00 | |
| 14 | დინამოს დიოდები (გენერატორის) | ცალი | 90.00 | 25.00 | 115.00 | |
| 15 | დროსელის საწმენდი სითხე | ცალი | 15.00 | 0.00 | 15.00 | |
| 16 | დროსელის საკეტის სენსორი | ცალი | 60.00 | 15.00 | 75.00 | |
| 17 | დინამოს რელე(გენერატორის) | ცალი | 80.00 | 25.00 | 105.00 | |
| 18 | ძრავის გარეთა ღვედი | ცალი | 60.00 | 20.00 | 80.00 | |
| 19 | დინამოს(გენერატორის)საკისარი | ცალი | 50.00 | 20.00 | 70.00 | |
| 20 | დინამოს (გენერატორის)შკივი | ცალი | 50.00 | 20.00 | 70.00 | |
| 21 | დისკის გასწორება | ცალი | | 25.00 | 25.00 | |
| 22 | დიფუზორი (წყლის რადიატორის) | ცალი | 180.00 | 20.00 | 200.00 | |
| 23 | ელექტროდიაგნოსტიკა | ცალი | 0.00 | 20.00 | 20.00 | |
| 24 | ვაკუუმი | ცალი | 150.00 | 45.00 | 195.00 | |
| 25 | ზამბარა უკანა | ცალი | 130.00 | 20.00 | 150.00 | |
| 26 | ზამბარა წინა | ცალი | 170.00 | 20.00 | 190.00 | |
| 27 | ზეთის დაჩიკი | ცალი | 80.00 | 15.00 | 95.00 | |
| 28 | ზეთის ფილტრი | ცალი | 15.00 | 10.00 | 25.00 | |
| 29 | თერმოდაჩიკი | ცალი | 60.00 | 5.00 | 65.00 | |
| 30 | თერმოსტატი | ცალი | 130.00 | 30.00 | 160.00 | |
| 31 | თვლების განშლა წინა (რაზვალი) | ცალი | | 30.00 | 30.00 | |
| 32 | კარტერი (ძრავის) | ცალი | 150.00 | 45.00 | 195.00 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 33 | კარტერის სადები | ცალი | 80.00 | 45.00 | 125.00 | |
| 34 | კბილანა ღვედი | ცალი | 130.00 | 80.00 | 210.00 | 34-ე,35-ე,36-ე და37-ე, პოზიციებზე სათადარიგო ნაწილების შეცვლის შემთხვევაში მომსახურების ღირებულება როგორც ერთი სათადარიგო ნაწილის,ასევე ერთდროულად ერთზე მეტი სათადარიგო ნაწილის შეცვლის შემთხვევაში 80 ლარს |
| 35 | კბილანა ღვედის ამყოლი როლიკი | ცალი | 60.00 | 80.00 | 140.00 | |
| 36 | კბილანა ღვედის დამჭიმი გორგოლაჭი | ცალი | 120.00 | 80.00 | 200.00 | |
| 37 | კბლანა ღვედის დაჭიმი მექანიზმი | ცალი | 160.00 | 80.00 | 240.00 | |
| 38 | სარქველი(კლაპანი) | ცალი | 40.00 | 10.00 | 50.00 | |
| 39 | სარქველის(კლაპნის) სალნიკი (ჩობალი) | კომპლ | 80.00 | 150.00 | 230.00 | |
| 40 | კოლექტორის სადები | ცალი | 60.00 | 30.00 | 90.00 | |
| 41 | კოლიცო | კომპ | 420.00 | 250.00 | 670.00 | |
| 42 | კონდიციონერის კომპრესორის ზეთი | გრამი | 1.00 | | 1.00 | |
| 43 | კონდიციონერის რადიატორი | ცალი | 280.00 | 35.00 | 315.00 | |
| 44 | კონდიციონერის ფილტრი(სალონის) | ცალი | 60.00 | 10.00 | 70.00 | |
| 45 | მინის მწმენდის ყინვაგამძლე სითხე (კონცენტრატი) | ლიტრი | 15.00 | 0.00 | 15.00 | |
| 46 | მოხვევის მაჩვენებლის რელე | ცალი | 60.00 | 10.00 | 70.00 | |
| 47 | მორგვის საკისარი უკანა(სბორში სტუოიცით) | ცალი | 210.00 | 50.00 | 260.00 | |
| 48 | მორგვის საკისარი წინა(სბორში სტუპიცით) | ცალი | 230.00 | 50.00 | 280.00 | |
| 49 | მუხრუჭის ლიაგუშკა | ცალი | 60.00 | 5.00 | 65.00 | |
| 50 | მშრალი ამორტიზატორის კრონშტეინი | ცალი | 25.00 | 10.00 | 35.00 | |
| 51 | ნათურა (პრიბორის) | ცალი | 5.00 | 5.00 | 10.00 | |
| 52 | ნათურა გაბარიტის | ცალი | 5.00 | 5.00 | 10.00 | |
| 53 | ნათურა ერთკონტაქტიანი | ცალი | 3.00 | 5.00 | 8.00 | |
| 54 | ნათურა ორკონტაქტიანი | ცალი | 3.00 | 5.00 | 8.00 | |
| 55 | ნათურა ტუმანიკის | ცალი | 45.00 | 0.00 | 45.00 | |
| 56 | ნათურა ჭალოგენი | ცალი | 30.00 | 0.00 | 30.00 | |
| 57 | წყლის ტუმბო(პომპა) | ცალი | 280.00 | 50.00 | 330.00 | |
| 58 | წყლის ტუმბოს(პომპის) მილი | ცალი | 60.00 | 20.00 | 80.00 | |
| 59 | ჟანგის სითხე | ცალი | 15.00 | 0.00 | 15.00 | |
| 60 | განშლის(რაზვალნი) ვტულკა | ცალი | 85.00 | 25.00 | 110.00 | |
| 61 | მილისა უკანა ძელის(ბალკის ბალიში) | ცალი | 70.00 | 30.00 | 100.00 | |
| 62 | გამანაწილებელი(რასპედვალი)ლილვი | ცალი | 450.00 | 50.00 | 500.00 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 63 | გამანაწილებელი ლილვის(რასპედვალის) დაჩიკი | ცალი | 200.00 | 10.00 | 210.00 | |
| 64 | საბურავის დაშლა/აწყობა ბალანსირება | ცალი | | 10.00 | 10.00 | |
| 65 | საბურავის აღდგენა (ლატკით) | ცალი | 0.00 | 10.00 | 10.00 | |
| 66 | საბურავის ბალანსირება | ცალი | 0.00 | 5.00 | 5.00 | |
| 67 | საბურავის დ/ აწყობა (ახლის დაყენებით) | ცალი | 0.00 | 10.00 | 10.00 | |
| 68 | საბურავის დაკერება (თოკით) | ცალი | 0.00 | 10.00 | 10.00 | |
| 69 | საცხებ საპოხი სამუშაო | კომპ | | 20.00 | 20.00 | |
| 70 | საბურავის მ/დაყენება | ცალი | 0.00 | 2.00 | 2.00 | |
| 71 | სალონის საფენი ხალიჩა (უნივერსალი) | კომპ | 90.00 | 0.00 | 90.00 | |
| 72 | სამუხრუჭე ავზი მთავარი | ცალი | 150.00 | 30.00 | 180.00 | |
| 73 | სამუხრუჭე მილი | ცალი | 60.00 | 10.00 | 70.00 | |
| 74 | სამუხრუჭე სისტემის დაჰაერება | ცალი | | 20.00 | 20.00 | |
| 75 | სამუხრუჭე სითხე DOT4 | ლიტრი | 20.00 | 0.00 | 20.00 | |
| 76 | სამღებრო სამუშაოები | ნაჭერი | | 150.00 | 150.00 | |
| 77 | სათუნუქე სამუშაო | ნაჭერი | | 90.00 | 90.00 | |
| 78 | შესადუღებელი სამუშაო | წერტილი | | 30.00 | 30.00 | |
| 79 | სანთელი | ცალი | 25.00 | 5.00 | 30.00 | |
| 80 | ანთების კოჭა(ბობინა) | ცალი | 220.00 | 10.00 | 230.00 | |
| 81 | მინსაწმენდი წინა | კომპ | 80.00 | 10.00 | 90.00 | |
| 82 | ევაკუატორის გამოძახება(თბილისი) | ცალი | | 40.00 | 40.00 | |
| 83 | ევაკუატორით მომსახურება(ქალაქ გარეთ) | კმ | | 1.00 | 1.00 | |
| 84 | საყვირი (სიგნალები) | ცალი | 65.00 | 30.00 | 95.00 | |
| 85 | საყრდენი დისკი (აპორნი) უკანა | ცალი | 150.00 | 20.00 | 170.00 | |
| 86 | საყრდენი დისკი (აპორნი) წინა | ცალი | 180.00 | 20.00 | 200.00 | |
| 87 | სამუხრუჭე დისკი უკანა (მოხეხვა) | ცალი | | 30.00 | 30.00 | |
| 88 | სამუხრუჭე დისკი წინა (მოხეხვა) | ცალი | | 30.00 | 30.00 | |
| 89 | საწვავის ტუმბო (ბენზონასოსი) | ცალი | 260.00 | 50.00 | 310.00 | |
| 90 | საწვავის ტუმბოს სალნიკი | ცალი | 20.00 | 0.00 | 20.00 | |
| 91 | საწვავის ფილტრი | ცალი | 50.00 | 20.00 | 70.00 | |
| 92 | საჭის მექანიზმი მ/დაყენება | ცალი | 0.00 | 140.00 | 140.00 | |
| 93 | საჭის მექანიზმის შეკეთება | ცალი | 0.00 | 300.00 | 300.00 | |
| 94 | საჭის წევის დაბოლოება | ცალი | 45.00 | 15.00 | 60.00 | |
| 95 | საჭის წევის მტვერდამცავი | ცალი | 45.00 | 15.00 | 60.00 | |
| 96 | სიჩქარეთა კოლოფის ბალიში | ცალი | 160.00 | 20.00 | 180.00 | |
| 97 | სიჩქარეთა კოლოფის ზეთი (ავტომატური) | ლიტრი | 25.00 | 50.00 | 75.00 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 98 | სიჩქარეთა კოლოფის სადები (ავტომატური) | ცალი | 30.00 | 20.00 | 50.00 | |
| 99 | სიჩქარეთა კოლოფის ფილტრი(ავტომატური) | ცალი | 130.00 | 30.00 | 160.00 | |
| 100 | სიჩქარეთა კოლოფის წინა სალნიკი | ცალი | 60.00 | | 60.00 | |
| 101 | ამძრავის(სტარტერის)დ/ა | ცალი | | 50.00 | 50.00 | |
| 102 | (ამძრავი)სტარტერი | ცალი | 480.00 | 50.00 | 530.00 | |
| 103 | ამძრავი(სტარტერის) ამძრავი კნოპკა | ცალი | 105.00 | 40.00 | 145.00 | |
| 104 | ამძრავი(სტარტერის) ბენდექსი | ცალი | 100.00 | 40.00 | 140.00 | |
| 105 | ამძრავის(სტარტერის) იაკორი | ცალი | 140.00 | 40.00 | 180.00 | |
| 106 | ამძრავის სტარტერის იაკორის აგდგენა | ცალი | 0.00 | 80.00 | 80.00 | |
| 107 | ამძრავის(სტარტერის) ჩოთკები | კომპლ | 70.00 | 40.00 | 110.00 | |
| 108 | ამძრავის(სტარტერის) ჩოთკების ბუდე | ცალი | 85.00 | 40.00 | 125.00 | |
| 109 | სტერჟინი | ცალი | 60.00 | 15.00 | 75.00 | |
| 110 | სუპორტი უკანა | ცალი | 120.00 | 15.00 | 135.00 | |
| 111 | სუპორტი წინა | ცალი | 150.00 | 25.00 | 175.00 | |
| 112 | ტალკატელი | ცალი | 40.00 | 20.00 | 60.00 | |
| 113 | საჭის წევა(უდარნი წიაგა) | ცალი | 70.00 | 20.00 | 90.00 | |
| 114 | უკანა სვლის მაჩვენებები (ლიაგუშკა) | ცალი | 60.00 | 15.00 | 75.00 | |
| 115 | ფარი უკანა | ცალი | 240.00 | 10.00 | 250.00 | |
| 116 | ფარი წინა | ცალი | 350.00 | 40.00 | 390.00 | |
| 117 | ფრეონი კონდიციონერის 100გრ | ცალი | 15.00 | 30.00 | 45.00 | |
| 118 | ძრავის გარეთა ღვედის დამჭიმი | ცალი | 210.00 | 20.00 | 230.00 | |
| 119 | ყუმბარა გარე | ცალი | 240.00 | 40.00 | 280.00 | |
| 120 | ყუმბარა შიდა | ცალი | 220.00 | 40.00 | 260.00 | |
| 121 | ყუმბარის მტვერდამცავი | ცალი | 40.00 | 30.00 | 70.00 | |
| 122 | ბურთულა სახსარი(შარავოი) | ცალი | 140.00 | 40.00 | 180.00 | |
| 123 | ძრავი ამ/ჩადგმა | კომპლ | 0.00 | 350.00 | 350.00 | |
| 124 | ძრავის ბლოკი ამ/ჩადგმა | ცალი | 0.00 | 350.00 | 350.00 | |
| 125 | ძრავის დ/აწყობა | კომპლ | 0.00 | 400.00 | 400.00 | |
| 126 | ძრავის ზეთი მინერალი | ლიტრი | 10.00 | | 10.00 | |
| 127 | ძრავის ზეთი ნახ.სინთეტიკა | ლიტრი | 12.00 | | 12.00 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 128 | ძრავის ზეთი სინთეტიკა | ლიტრი | 18.00 | | 18.00 | |
| 129 | ძრავის თავის ამოღება/ჩადგმა/გადაწყობა | ცალი | 0.00 | 200.00 | 200.00 | |
| 130 | ძრავის ამოღება/ჩადგმა/გადაწყობა | | | 450.00 | 450.00 | |
| 131 | ძრავის უკანა სალნიკი | ცალი | 120.00 | 200.00 | 320.00 | |
| 132 | ძრავის წინა სალნიკი | ცალი | 75.00 | 120.00 | 195.00 | |
| 133 | ძრავქვეშა ზალიში | ცალი | 180.00 | 30.00 | 210.00 | |
| 134 | წყლის რადიატორი | ცალი | 420.00 | 40.00 | 460.00 | |
| 135 | წყლის რადიატორის აღდგენა | ცალი | 0.00 | 70.00 | 70.00 | |
| 136 | წყლის რადიატორის ხუფი | ცალი | 25.00 | 0.00 | 25.00 | |
| 137 | ხამუთი პლასმასის | ცალი | 0.40 | 0.00 | 0.40 | |
| 138 | ხამუთი რკინის | ცალი | 2.00 | 0.00 | 2.00 | |
| 139 | ხელის მუხრუჭის ტროსი | ცალი | 145.00 | 40.00 | 185.00 | |
| 140 | ხუნდები უკანა | კომპ | 120.00 | 20.00 | 140.00 | |
| 141 | ხუნდები წინა | კომპ | 140.00 | 20.00 | 160.00 | |
| 142 | ხუნდები ხელის მუხრუჭის | კომპ | 160.00 | 30.00 | 190.00 | |
| 143 | ხელის მუხრუჭის რეგულირება | ცალი | | 20.00 | 20.00 | |
| 144 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 50.00 | 10.00 | 60.00 | |
| 145 | კონდენციონერის სისტემის შემოწმება | ცალი | | 30.00 | 30.00 | |
| 146 | საბურავის შპილკა | ცალი | 20.00 | | 20.00 | |
| 147 | საბურავის შპილკის შეცვლა | ცალი | | 15.00 | 15.00 | |
| 148 | საბურავის გაიკა | ცალი | 15.00 | | 15.00 | |
| 149 | ტაოტი | კგ | 15.00 | | 15.00 | |
| 150 | წყლის მისასხმელი ძრავის აღდგენა | ცალი | | 45.00 | 45.00 | |
| 151 | წყლის მისასხმელი ძრავის მ/დაყენება | ცალი | | 20.00 | 20.00 | |
| 152 | ზაჟიგანიის ზამოკის მ/დაყენება | ცალი | | 30.00 | 30.00 | |
| 153 | ზაჟიგანიის ზამოკის შეკეთება | ცალი | | 50.00 | 50.00 | |
| 154 | აკუმულატორი 55ამპ | ცალი | 170.00 | | 170.00 | |
| 155 | გამათბობლის ძრავის მ/დაყენება, გაწმენდა(აღდგენა) | ცალი | | 80.00 | 80.00 | |
| 156 | გერმეტიკი | ცალი | 15.00 | | 15.00 | |
| 157 | კონდენციონერის სისტემის გაწმენდა | ცალი | | 60.00 | 60.00 | |
| 158 | კონდიციონერის ზედა მილი | ცალი | 130.00 | 40.00 | 170.00 | |
| 159 | კონდიციონერის ქვედა მილი | ცალი | 120.00 | 50.00 | 170.00 | |
| 160 | მაჩვენებლის დაფის მ/დაყენება | ცალი | | 60.00 | 60.00 | |
| 161 | მაჩვენებლის დაფის შეკეთება | ცალი | | 90.00 | 90.00 | |
| 162 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი | კომპ | 80.00 | 40.00 | 120.00 | |
| 163 | რადიატორის გამორეცხვა | ცალი | 60.00 | 50.00 | 110.00 | |
| 164 | საჭის მექანიზმის ქანქარას აღდგენა | ცალი | | 40.00 | 40.00 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 165 | საჭის მექანიზმის ქანქარას მ/დ | ცალი | | 30.00 | 30.00 | |
| 166 | შარაგოის მტვერდამცავი | ცალი | 20.00 | 40.00 | 60.00 | |
| 167 | შიდა ყუმბარის ჩობალი | ცალი | 60.00 | 40.00 | 100.00 | |
| 168 | უსაფრთხოების ღვედი | ცალი | 140.00 | 40.00 | 180.00 | |
| 169 | გადაცემათა კოლოფი (მეორადი) | ცალი | 2300.00 | 150.00 | 2450.00 | |
| 170 | გადაცემათა კოლოფის დაშლა აწყობა | ცალი | | 150.00 | 150.00 | |
| 171 | გადაცემათა კოლოფის ფრიქციონები | კომპ | 480.00 | 220.00 | 700.00 | |
| 172 | გადაცემათა კოლოფის პირველადი ლილვის საკისარი | ცალი | 150.00 | | 150.00 | |
| 173 | შიდა ყუმბარის საკისარი | ცალი | 100.00 | 50.00 | 150.00 | |
| 174 | ძრავი (მეორადი) | ცალი | 3500.00 | | 3500.00 | |
| 175 | ძრავის მასრის სახურავის საფენი | ცალი | 140.00 | 30.00 | 170.00 | |
| 176 | ძრავის მასრის თავის საფენი | ცალი | 160.00 | 200.00 | 360.00 | |
| 177 | ძრავის მასრის თავის მოხეხვა | ცალი | | 60.00 | 60.00 | |
| 178 | ძრავის სარქველის მოხეხვა | კომპლ | | 160.00 | 160.00 | |
| 179 | ძრავის სარქველის გაჩარხვა | ცალი | | 25.00 | 25.00 | |
| 180 | ძრავის მუხლუხო ლილვი(მეორადი) | ცალი | 700.00 | 300.00 | 1000.00 | |
| 181 | ძრავის მუხლუხო ლილვის გაჩარხვა(მოხეხვა) | ცალი | | 90.00 | 90.00 | |
| 182 | ძრავის კლადიში(შატუნის) | კომპლ | 260.00 | | 260.00 | |
| 183 | ძრავის კლადიში(კარეწოი) | კომპლ | 280.00 | | 280.00 | |
| 184 | ძრავის ცილინდრის გაჩარხვა | ცალი | | 80.00 | 80.00 | |
| 185 | ძრავის ცილინდრის დაგილზვა | ცალი | | 90.00 | 90.00 | |
| 186 | ძრავის დგუში(პორშინი) | ცალი | 180.00 | 70.00 | 250.00 | |
| 187 | ძრავის დგუშის რგოლი(კოლიცო) | კომპლ | 220.00 | 50.00 | 270.00 | |
| 188 | ძრავის დგუშის (პორშინის) მქნევარა(შატუნი) | ცალი | 150.00 | | 150.00 | |
| 189 | ძრავის საწვავის მილი(ტრუბკა) | ცალი | 60.00 | 25.00 | 85.00 | |
| 190 | ძრავის საწვავის მილი(აბრატკა) | ცალი | 50.00 | 20.00 | 70.00 | |
| 191 | მორგვის საკისარის გაიკა | ცალი | 25.00 | | 25.00 | |
| 192 | ძრავის მასრის თავი(მეორადი) | ცალი | 980.00 | | 980.00 | |
| 193 | გასაღების დაპროგრამირება | ცალი | | 80.00 | 80.00 | |
| 194 | ელგაყვანილობის აღდგენა სალონში | ცალი | | 150.00 | 150.00 | |
| 195 | ელგაყვანილობის აღდგენა ტორპედოს მ/დაყენებით | ცალი | | 200.00 | 200.00 | |
| 196 | კარის აბიკის მ/დაყენება | ცალი | | 50.00 | 50.00 | |
| 197 | რეზინის დეტალის/ვტულკის გაჩარხვა მცირე ზომის | ცალი | | 30.00 | 30.00 | |
| 198 | რეზინის დეტალის/ვტულკის გაჩარხვა საშუალო ზომის | ცალი | | 35.00 | 35.00 | |
| 199 | რეზინის დეტალის/ვტულკის გაჩარხვა დიდი ზომის | ცალი | | 40.00 | 40.00 | |
| 200 | ბარდაჩოკის მ/დაყენება | ცალი | | 20.00 | 20.00 | |
| 201 | მცველების დაფის მ/დაყენება | ცალი | | 30.00 | 30.00 | |
| 202 | მცველების დაფის აღდგენა | ცალი | | 80.00 | 80.00 | |
| 203 | მუხლა ლილვის სენსორი | ცალი | 260.00 | 30.00 | 290.00 | |
| 204 | რადიატორის შლანგი | ცალი | 60.00 | 30.00 | 90.00 | |
| 205 | გამოხდილი წყალი | ლიტრი | 1.00 | | 1.00 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 206 | ფეჩის მილი | ცალი | 30.00 | 45.00 | 75.00 | |
| 207 | პლასმასის სამუშაოები | ნაჭერი | | 70.00 | 70.00 | |
| 208 | ძრავის მასრის თავის დანადგარზე შემოწმება(გალოვკის ბზარზე) | ცალი | | 65.00 | 65.00 | |
| 209 | სიჭის ელექტრო გამაძლიერებელი (მეორადი) | კომპ | 800.00 | 100.00 | 900.00 | |
| 210 | გამათბობლის გადამრთველის შეკეთება | ცალი | | 70.00 | 70.00 | |
| 211 | ამძრავის(სტარტერის)ღილაკის კონტაქტები | კომპ | 70.00 | | 70.00 | |
| 212 | ამძრავის(სტარტერის)რელე | ცალი | 90.00 | | 90.00 | |
| 213 | ამძრავის(სტარტერის)საკისარი | ცალი | 60.00 | | 60.00 | |
| 214 | ამძრავის(სტარტერის)ჩანგალი | ცალი | 60.00 | 40.00 | 100.00 | |
| 215 | გენერატორის ჯაგრისები(დინამოს ჩოთქები) | კომპ | 90.00 | 40.00 | 130.00 | |
| 216 | გენერატორის ჯაგრისების ბუდე(დინამოს) | კომპ | 75.00 | 40.00 | 115.00 | |
| 217 | მორგვის ჩობალი | ცალი | 40.00 | 30.00 | 70.00 | |
| 218 | გარე ყუმბარის ჩობალი | ცალი | 35.00 | 30.00 | 65.00 | |
| 219 | წყლის რადიატორის სარქველი | ც | 40.00 | 20.00 | 60.00 | |
| 220 | ჩიბუხი | ც | 200.00 | 10.00 | 210.00 | |
| 221 | ინჟექტორის განმენდა | ც | | 80.00 | 80.00 | |
| 222 | ინჟექტორი | კომპლ | 380.00 | 50.00 | 430.00 | |
| 223 | სანისლე ფარი | ც | 230.00 | 10.00 | 240.00 | |
| 224 | ქსენონის ნათურა | ც | 170.00 | 10.00 | 180.00 | |
| 225 | მაყუჩი | ც | 1500.00 | 150.00 | 1650.00 | |
| 226 | პროპელერი | ც | 100.00 | 40.00 | 140.00 | |
| 227 | დროსელის განმწნდა | ც | | 40.00 | 40.00 | |
| 228 | ელ.შეკეთება | ც | | 50.00 | 50.00 | |
| 229 | საბურავის შედუღება აღდგენა | ც | | 60.00 | 60.00 | |
| 230 | გადაცემათა კოლოფის შეკეთება | კომპ | 0.00 | 340.00 | 340.00 | |
| 231 | გენერატორის(ამძრავის)იაკორი | ც | 180.00 | | 180.00 | |
| 232 | გენერატორის(ამძრავის)იაკორის აღდგენა | ც | 0.00 | 80.00 | 80.00 | |
| | | | 27665.40 | 11303.00 | 38968.40 | |

„შემსყიდველი"
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"

თამარ [illegible]
სააგენტოს [illegible]

„მიმწოდებელი"
შპს „ავტომოტივი"

ნიკოლოზ მეკრავიშვილი
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 03 ნოემბერი 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და შპს „ავტომოტივი"-ს შორის 2016 წლის 03 ნოემბრის N01-110301 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ თამარ ბაგრატია

_____ ზაზა დვალაძე

_____ ეთერი ალთუნაშვილი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)